

პრესრელიზი

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები ერთმანეთს ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის რეფორმებთან დაკავშირებულ გამოცდილებას უზიარებენ

თბილისი, 2014 წლის 6 ოქტომბერი - მსოფლიო ბანკის ორგანიზებით დღეს თბილისში ორი სემინარი გაიხსნა, რომლებიც ევროკავშირის შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს ეძღვნება. ღონისძიება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, დავით ონოფრიშვილმა გახსნა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებიც ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმებზე მუშაობენ, წარმატებები უსურვა.

მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრი (CFRR), აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში აუდიტის და ანგარიშგების გაუმჯობესების პროგრამის (STAREP) ფარგლებში, შესაბამისი პროფესიული წრეების წარმომადგენლებს მუშაობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. აღნიშნულის ფარგლებში, მონაწილე ქვეყნებიდან პრაქტიკის მქონე ჯგუფები იკრიბებიან, რათა ერთმანეთს ცოდნა, გამოცდილება და იდეები გაუზიარონ.

მიმდინარე კვირაში პროფესიული წრეების სემინარებს თბილისი მასპინძლობს. მათგან ერთი ჯგუფი ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სტანდარტებს და, ასევე, ევროკავშირის იმ მოთხოვნებს განიხილავს, რომლებიც აუდიტის ხარისხისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებაზეა მიმართული. ხოლო მეორე ჯგუფი პროფესიული განათლების კუთხით იმუშავებს და, ასევე, STAREP-ში მონაწილე ქვეყნების ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განახლების გეგმის შემუშავებას დაიწყებს.

“მოხარულნი ვართ, რომ დღეს თბილისში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში აუდიტის და ანგარიშგების გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში, ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება იხსნება. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კორპორატიული და ფინანსური ანგარიშვალდებულების და ქვეყანაში არსებული ბიზნესების გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით საქართველო გამოხატავს მზადყოფნას, რომ გააგრძელოს ფინანსური ანგარიშგების სფეროში რეფორმების გატარება, რათა ჩვენი საქმიანობები ევროკავშირის მოთხოვნებს შეესაბამებოდეს. სხვადასხვა შეხვედრებში მონაწილეობა,

რასაც მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრი უწევს ორგანიზებას, ძალიან სასარგებლოა და ჩვენს სპეციალისტებს, ასევე, დაინტერესებულ მხარეებს ხელს უწყობს ფინანსური ანგარიშგების მიმართულებით რეფორმების განხორციელებაში. STAREP-ში ჩართული ქვეყნების წარმომადგენლები მზად ვართ ერთმანეთს გამოცდილება გავუზიაროთ”, განაცხადა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, დავით ონოფრიშვილმა.

„მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკურ განვითარებას თან ახლავდეს ეფექტური ფინანსური ანგარიშგების სისტემები. მათი მეშვეობით იქმნება პირობები, რომელთა ფარგლებშიც მცირე საწარმოებს შესებზე ექნებათ წვდომა, რაც მათ განვითარებასა და ზრდაში დაეხმარება, რის შედეგადაც ახალი სამუშაო ადგილები და სოციალური სარგებელი გაჩნდება. იმედის მომცემია STAREP-ში მონაწილე ქვეყნების ერთობლივი მუშაობის ხილვა, რომლის ფარგლებშიც ისინი საკუთარ ქვეყნებში ბუღალტრული აღრიცხვის სფეროს მოდერნიზებას და ცოდნის განახლებას ახდენენ. ამით მომავალ თაობას საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებასა და გლობალიზებულ ბაზარზე წარმატებულად მოქმედებაში დაეხმარებიან“; განაცხადა მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის ხელმძღვანელმა, ანრი ფორტინმა.

დამატებითი ინფორმაცია მედიისთვის:

მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრი (CFRR), რომელიც ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მდებარეობს, მსოფლიო ბანკის მიერ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში კორპორატიული ფინანსური ანგარიშგების მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობებზეა პასუხისმგებელი. ის პარტნიორ ქვეყნებს სხვადასხვა სახის ცოდნას და შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართულ მომსახურებას აწვდის, რომელიც ფინანსური ანგარიშგების რეფორმის მხარდაჭერას, ინსტიტუციონალურ გაუმჯობესებას და ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის სფეროებში კარგი პრაქტიკის გავრცელებას ითვალისწინებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში აუდიტის და ანგარიშგების გაუმჯობესების პროგრამა (STAREP) CFRR-ის რეგიონული პროგრამაა, რომელიც ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში მონაწილე ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) კორპორატიული ანგარიშგების კუთხით გამჭირვალე პოლიტიკის და ეფექტური ინსტიტუციონალური ბაზების განვითარებას უწყობს ხელს. STAREP მონაწილე ქვეყნებს კორპორატიული ფინანსური ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესებასა და ადგილობრივი უწყებების შესაძლებლობების განვითარებაში უწყობს ხელს, რათა მათ ამ ბაზების ეფექტურად განხორციელება შეძლონ. აღნიშნული პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ: ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), ევროკავშირი (EU), ავსტრიის ფინანსთა სამინისტრო, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს ფინანსთა სამინისტრო, და შვეიცარიის სახელმწიფო სამდივნო ეკონომიკურ საკითხებში (SECO).

ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის საკითხებზე მომუშავე პროფესიული წრეების სემინარი, 2014 წლის 6-7 ოქტომბერი: აუდიტის ხარისხის გაუმჯობესება ევროკავშირის შესაბამისი მოთხოვნების ადგილებზე დანერგვის მეშვეობით

სემინარის მონაწილეები ევროკავშირის ახალ მოთხოვნებს განიხილავენ, რომელთა მიზანია აუდიტის ხარისხის და გამჭვირვალობის გაუმჯობესება და ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია. ყურადღება სავალდებულო აუდიტის რეფორმაზე იქნება მიმართული, რაშიც იგულისხმება სავალდებულო აუდიტის დირექტივაში (2006/43/EC) შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები და საზოგადოებრივი ზედამხედველობის ფუნქცია. განსაკუთრებით, ევროკავშირის ახალი რეგულაციები საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი ერთეულების სავალდებულო აუდიტთან დაკავშირებულ კონკრეტულ მოთხოვნებთან მიმართებით (No 537/2014). ახალმა წესებმა მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს აუდიტის ხარისხი ევროკავშირის ფარგლებში და უზრუნველყოს ის, რომ აუდიტორები ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის თავდაცვად იქცნენ. **ზურაბ ლალაზაშვილი**, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე, სემინარის მონაწილეებს ბუღალტრული აღრიცხვის კანონმდებლობის მოდერნიზებისა და საქართველოს ეკონომიკაში საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (IFRS) დანერგვის კუთხით არსებულ გამოცდილებას გაუზიარებს.

ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროში განათლებაზე მომუშავე პროფესიული წრეების სემინარი, 2014 წლის 8-9 ოქტომბერი: განათლება შესაძლებლობისთვის: ცვლილების პროცესის დაწყება

2014 წლის აპრილში მოლდოვას დედაქალაქ კიშინოვში ჩატარებული სემინარის საფუძველზე აღნიშნული პროფესიული წრის წარმომადგენლები STAREP-ში მონაწილე ქვეყნებში ფინანსური ანგარიშგების სფეროში განათლების სისტემის განახლების გეგმაზე იმუშავებენ. სემინარზე განხილული იქნება საბაკალავრო დონის ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამების შესაბამისი შედეგები. გარდა ამისა, სემინარის მონაწილეები ბოლო კურსის სტუდენტებისთვის რეგიონული სტანდარტების დადგენაზე იმუშავებენ. ასევე, საუბარი იქნება პროფილის დადგენის სპეციალურ ინსტრუმენტზე, რომელიც STAREP-ში მონაწილე ქვეყნებში სწორედ აღნიშნული პროფესიული წრეების წარმომადგენლების ხელმძღვანელობით იქნება შემოღებული. ამ ინსტრუმენტის მეშვეობით უნივერსიტეტებში სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, კრიტერიუმების დადგენის და აკრედიტაციის რაციონალიზაცია მოხდება. ამავე დროს, ის სასარგებლო იქნება სასწავლო პროგრამების მონიტორინგის კუთხითაც. საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის, მენეჯმენტის და ადმინისტრირების სკოლის პროფესორი **მაია ამაშუკელი** და კავკასიის ბიზნეს სკოლის ფინანსური ანგარიშგების პროფესორი **თემურ ფარცხალაძე** სემინარის მონაწილეებს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ფინანსური ანგარიშგების ორგანოში აკრედიტაციის კუთხით მათი სასწავლებლების გამოცდილებას გაუზიარებენ.

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ეწვიოთ: www.worldbank.org/georgia

მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ: www.worldbank.org/cfr

გვეწვიეთ Facebook-ზე: <https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>

საკონტაქტო პირები

თბილისში: თამარ კობახიძე, ტელ.: (+995 32) 291-3096, tkobakhidze@worldbank.org

ვაშინგტონში: ელენა კარაბანი. ტელ.: +1 (202) 473-9277, ekaraban@worldbank.org